Photo: IOM

ბავშვთა ექსპლუატაცია საქართველოში

თეორიული ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგები[1]

[1] IOM-მ წინამდებარე კვლევა ჩაატარა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში ტრეფიკინგთან ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერება უწყებათაშორისი კოორდინაციის გზით“ ფარგლებში

Government of the United States

IOM UN MIGRATION

1. შესავალი

2019 წლის მარტიდან მაისამდე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ჩაატარა საქართველოში ბავშვთა ექსპლოატაციის შემთხვევების კვლევა. კვლევის მიზანი იყო ბავშვთა ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება და ასევე მათ და სოციალურ მუშაკთა შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი მცირეწლოვნების დასაცავად და ამასთანავე სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების გასაუმჯობესებლად. IOM-თვის რეგულარულად ცნობილი ხდება საქართველოში ბავშვთა ექსპლოატაციის შემთხვევების შესახებ, თუმცა დოკუმენტირებული ინფორმაციისა და მყარი მტკიცებულებების მოპოვება რთულია. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლეს მძიმე დანაშაულის გამოძიება და დააპატიმრეს პირები, რომლებიც ბავშვებს მათხოვრობას აიძულებდნენ. თუმცა საქართველოში ბავშვთა ექსპლოატაციის შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ეს საზოგადოებისთვისაა ცნობილი და წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია გარკვეული ანალიზი.

2. მეთოდოლოგია

IOM-მა ინფორმაცია მოიპოვა ძირითადად ორი წყაროს, კერძოდ, არსებული ლიტერატურის თეორიული ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან სიღრმისეული ინტერვიუების, მეშვეობით. საჯარო წყაროთა რაოდენობა, რომელიც ნათელს ჰფენს ბავშვთა ექსპლოატაციის რამდენიმე ასპექტს საქართველოში, მწირია. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) 2018 წლის ანგარიში ქუჩაში ბავშვთა ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, წარმოადგენს აღნიშნული ფენომენის კვლევის კარგ მაგალითს, რომელიც საქართველოს მთავრობის მხრიდან ამ საკითხის მოგვარების მცდელობის მიუხედავად, მაინც მზარდ პრობლემად რჩება ქვეყანაში. სხვამხრივ, თითქმის არ არის ხელმისაწვდომი დოკუმენტირებული ინფორმაცია, ბავშვის ექსპლოატაციის სხვა, ნაკლებად თვალსაჩინო გამოვლინებების შესახებ.

ამასთან, IOM-მ ჩაატარა 10 ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც სამთავრობო ორგანოებში, ისე საერთაშორისო და არა-სამთავრობო ორგანიზაციებში (NGO). რესპოდენტების შერჩევა მოხდა სახელმწიფო სააგენტოების როლის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ქვეყნის ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების სამოქმედო გეგმით, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში, შერჩევა მოხდა მათი, როგორც სერვის-მიმწოდებლების აქტივობების და საქართველოში ბავშვთა დაცვის პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების რეპუტაციის მიხედვით. ინტერვიუები გაიმართა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე.

3. ძირითადი დასკვნები

<u>სამართლებრივი ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები</u>

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, IOM-ის მიერ ინტერვიურებულ პირთა უმრავლესობა თანხმდება, რომ კანონმდებლობა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ბავშვთა ექსპლოატაცია უკვე არსებობს. ტერმინი ექსპლოატაცია განმარტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის პირველი პრიმა ნაწილით, რომელიც ძირითადად შესაბამისობაშია საერთაშორისო იურიდიულ სტანდარტებთან. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონიც“ განმარტავს ექსპლოატაციის კონცეფციას და განსაზღვრავს ყველა იმ სახელმწიფო უწყებების ფუნქციებს, რომელთაც ევალებათ მონაწილეობა მიიღონ ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუმცა, ყველა ერთხმად აცხადებს, რომ უწყებათაშორის ფორმატში და ზოგადადაც, უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული აღნიშნული კანონების განხორციელების გაუმჯობესებისაკენ და სამინისტროებში იმ საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარებისაკენ, რომელთაც უშუალოდ უწევთ მუშაობა ბავშვთა ექსპლოატაციის საკითხებზე.

<u>ბავშვთა ექსპლოატაციის შემთხვევები საქართველოში</u>

შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია საქართველოში ბავშვთა ექსპლოატაცია დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

ა) ბავშვების მათხოვრობა
ბ) არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლოატაცია
გ) არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლოატაცია

<u>3ა. ბავშვების მათხოვრობა</u>

წინამდებარე კვლევისას გამოკითხული ყველა დაინტერესებული მხარე დარწმუნებულია იმაში, რომ ყოველდღიურად, მრავალი საათის განმავლობაში ქუჩაში მოწყალების მთხოვნელი ბავშვების დიდი უმრავლესობა წარმოადგენს ექსპლოატაციის მსხვერპლს. არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებში ცხოვრობენ ბავშვები, რომლებიც ადრე მათხოვრობდნენ და მათი თქმით, ბავშვების უმრავლესობა განიცდიდა უყურადღებობას ან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მშობლების ან „მზრუნველების“ მხრიდან, როცა ისინი ვერ ახერხებდნენ საკმარისი ოდენობის თანხის გამომუშავებას. ყველა გამოკითხულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი ექსპლოატატორი აიძულებს 14 წლამდე ასაკის ბავშვებს წვრილმანი დანაშაულებების ჩადენასა და აგრესიულ მათხოვრობას, რადგან საქართველოს კანონმდებლობით, ზემოაღნიშნულ ასაკამდე ბავშვების პასუხისმგებლობაში მიცემა არ ხდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისა თუ სამართალდარღვევებისთვის.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს სამართალდამცავებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბავშვთა ტრეფიკინგის (მოწყალების მთხოვნელი ბავშვები) საქმეების გამოძიების კუთხით, დაიჭირეს რა იმ ბავშვთა მშობლები ან ნათესავები, რომლებიც აიძულებდნენ მათ ქუჩაში მათხოვრობას. სამართალდამცავების მხრიდან ბავშვთა მათხოვრობის საქმეებზე ორიენტირების მაგალითებს წარმოადგენს ბოლო პერიოდში ბათუმში[2] ოთხი ბავშვის დედისა და დეიდის, ხოლო თბილისში[3] ბავშვთა ექსპლოატატორის დაპატიმრება. თუმცა ჯერ უცნობია მოყვება თუ არა ბავშვთა ტრეფიკინგის სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებებს ხმაურიანი განხილვები. მეშვიდე გვერდზე წარმოდგენილ პირველ დანართში მოცემულია უფრო მეტი ინფორმაცია ბოლო პერიოდში ადამიანთა ტრეფიკინგის საქმეებზე ჩატარებული გამოძიებების შესახებ.

ქუჩაში მათხოვრობის ფენომენი განსაკუთრებით შესამჩნევია ზაფხულის სეზონზე. გამოკითხული სოციალური მუშაკებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, ბავშვიანი ოჯახები მთელი საქართველოდან ჩადიან აჭარაში, ან სხვა ტურისტულ ადგილებში, რათა იმათხოვრონ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ადგილობრივი ბავშვებისგან განსხვავებით, რაიონებიდან ჩამოსულ ბავშვებს ხშირად ღამის გასათევი არსად აქვთ და ქუჩაში სძინავთ.

IOM წუხილით აღნიშნავს, ასევე უცხოელი ბავშვების ჩართულობას მათხოვრობაში. მოწყვლადი მიგრანტების მიზნობრივი დახმარების ფარგლებში, IOM-მ აღმოაჩინა ბავშვიანი ოჯახები აზერბაიჯანიდან და მოლდოვიდან, რომლებსაც როგორც წესი დოკუმენტები არ გააჩნიათ და გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციები, ისევე როგორც UNICEF-ის ზემოხსენებული კვლევა ადასტურებენ, რომ საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების 20-დან 25 %-მდე არიან აზერბაიჯანიდან. სერვისის მიმწოდებლები ერთხმად გამოთქვამენ წუხილს, რომ ბავშვთა აღნიშნული ჯგუფი არ იყენებს ბავშვთა მზრუნველობის სერვისებს, მათი უსასყიდლოდ ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ისინი ასევე არ არიან დაინტერესებული ითანამშრომლონ შესაბამის უწყებებთან თავიანი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოგვარების მხრივ.

უკანასკნელ პერიოდში, როგორც ამას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიც ადასტურებს, ქართველმა სამართალდამცავებმა დაიწყეს მიზანმიმართული აგრესიული პრაქტიკის გატარება ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავეთა

[2] იხილეთ https://police.ge/ge/batumshi-4-arasrultslovnit-vachrobis-faqtze-politsiam-mati-deda-da-deida-daakava/12852

[3] მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/politsiam-arasrultslovanta-trefikingis-braldebit-mshobeli-daakava/13121

მიმართებაში, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და აზიანებს საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის იმიჯს. უცხოეთიდან ჩამოსული დოკუმენტების არმქონე ოჯახებთან მიმართებაში, საქართველოს საიმიგრაციო სამსახურებმა მიგრაციის წინასწარი დაკავების ცენტრში განათავსეს რამდენიმე პირი. მიმდინარეობდა მათი ვინაობის დადგენა, და სამგზავრო დოკუმენტების გამზადება, რათა დაწყებულიყო ქვეყნიდან გაძევების პროცედურა.

3ბ. არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლოატაცია

უკანასკნელ წლებში პოლიციამ ჩაატარა გამოძიება, რომელიც ორიენტირებული იყო არასრულწლოვნების ჩაბმაზე პროსტიტუციაში და ასევე პორნოგრაფიული მასალების წარმოებასა და გაყიდვაში. 2019 წლის სექტემბერში მოხდა ორი ავსტრალიელი და ორი ამერიკელი მამაკაცის დაკავება, რომელთაც ბრალი ედებოდათ არასრულწლოვანი გოგონების იძულებაში მონაწილეობა მიეღოთ პორნოგრაფიული ხასიათის ფოტო გადაღებაში[4]. 2020 წლის იანვარში მოხდა 3 ადამიანის დაკავება 15 წლის გოგონას პროსტიტუციაში ჩაბმის ბრალდებით[5].

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, გაცილებით მეტია სექსუალური ექსპლოატაციის შემთხვევები, რომელთა გამოძიება არ ხდება და რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არაა. აღნიშნული შეეხება ოჯახის წევრების მიერ ახალგაზრდა გოგონების იძულებას ფულის სანაცვლოდ სექსუალური კავშირი დაამყარონ მამაკაცებთან. არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, მათთვის ცნობილია შემთხვევები როდესაც არასრულწლოვანი გოგონები ჩართულები არიან ქუჩის პროსტიტუციაში ან ზაფხულში დიდ დასახლებებში მუშაობენ ესკორტ გოგონებად ან ღამის კლუბში გამრთობებად.

3გ. არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლოატაცია

წინამდებარე კვლევისას გამოვლენილ იქნა საქართველოში ბავშვთა დასაქმებისა და შრომითი ექსპლოატაციის შემთხვევები, რომლებიც შემდეგი სახით იქნა დაჯგუფებული:

- შინა მოსამსახურეობა
- ჯართის შემგროვებლობა
- შრომითი მიგრაცია თურქეთში
- გარე ვაჭრობა

3.გ.1 შინა მოსამსახურეობა - მშობლების მხრიდან შვილების იძულებითი ჩაბმა და-ძმებზე ზრუნვაში

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოყვეს პრობლემა, როდესაც მრავალშვილიანი მშობლები მოელიან ან/და ავალდებულებენ უფროს შვილს ან შვილებს იზრუნონ პატარა და-ძმებზე, როდესაც ისინი საკუთარ საქმეებზე გადიან. არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, ზოგჯერ ამას მივყავართ საშინელ შემთხვევამდე, როდესაც ბავშვებს უწევთ ცხოვრება ბინძურ სახლებში და არ აქვთ წვდომა წესიერ ნორმალურ საკვებზე. წინამდებარე კვლევის დროს გამოკითხულმა სოციალურმა მუშაკმა გამოყო ერთი შემთხვევა, როდესაც მათ შეძლეს უყურადღებოდ დარჩენილი ბავშვების საკუთარი საცხოვრებელი გარემოდან წამოყვანა და დაიწყეს მშობელთა უფლებების ჩამორთმევის პროცედურები.

ბავშვების მიმართ უყურადღებობისა და მათზე მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტვირთის დაკისრების გარდა, კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს მათ მიერ სკოლის გაცდენა. სოციალური მუშაკების განცხადებით, მშობლები ადვილად ახერხებენ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან შემოწმების თავის არიდებას, აცხადებენ რა რომ მათი ბავშვი(ები) დაარეგისტრირეს სხვა სკოლაში, სხვა მუნიციპალიტეტში ან რომ მათ შეიცვალეს საცხოვრებელი მისამართი.

3.გ.2 ჯართის შემგროვებლობა

ბავშვთა შრომის კიდევ ერთ ნაკლებად ცნობილ ფორმას წარმოადგენს მათი ჩართვა ჯართის შეგროვებაში. მიგრაციის საერთაშორისო

[4] მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-arasrultslovnebis-pornografiis-ukanonod-damzadeba-gasaghebisa-da-trefikingis-braldebit-organizebuli-danashaulebrivi-djgufis-11-tsevri-daakava/12975

[5] იხილეთ https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-arasrultslovnis-trefikingis-braldebit-sami-piri-daakava/13244

ორგანიზაციის მიერ გამოკითხული რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა შეშფოთება ბავშვთა შრომის აღნიშნულ ფორმასთან დაკავშირებით და გამოყო შემთხვევა, როდესაც ბავშვი ჯართის შეგროვებისას სამშენებლო მოედანზე ღრმა ორმოში ჩავარდა. საუბედუროდ, ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა.

პირველადი ინტერვიუებით უცნობია ბავშვთა შრომის აღნიშნული ფორმა წარმოადგენს საოჯახო ბიზნესს თუ ჯართით მოვაჭრეები ახდენენ ბავშვების დაქირავებას თავიანთ არაფორმალურ საქმიანობაში ჩასაბმელად.

3.გ.3 გარე ვაჭრობა

ფულის გამომუშავების პოპულარულ მეთოდს წარმოადგენს ბავშვების ჩართვა გარე ვაჭრობაში, კერძოდ მცირე ნივთების, როგორიცაა საეკლესიო სანთლები, ხატები, ხელსახოცები ასევე ცივი სასმელები და სიმინდი, გაყიდვაში. ზაფხულზე ხშირად შეხვდებით ზღვის სანაპიროზე მოხეტიალე ბავშვებს, რომლებიც თავიანთ პროდუქტებს ტურისტებზე ჰყიდიან. არასამთავრობო ორგანიზაციები გამოთქვამენ შეშფოთებას აღნიშნული ბავშვების კეთილდღეობასთან დაკავშირებით, მათ შორის ფიზიკურ დატვირთვაზე, რადგან მათ სიცხეში ზურგით უწევთ ბევრი ნივთის ტარება.

გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების მობილური ჯგუფები პროაქტიული ფორმით სთავაზობენ დახმარებას აღნიშნულ ბავშვებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გარე ვაჭრობაში ჩართული ბავშვები თავს არიდებენ მობილურ ჯგუფებთან ურთიერთობას. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, აღნიშნული ბავშვების უმეტესობა ჩამოსულია აზერბაიჯანიდან და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მსგავსად აგრესიულობით გამოირჩევიან.

3.გ.4 შრომითი მიგრაცია თურქეთში

თურქეთში სეზონური შრომითი მიგრაცია კიდეც ერთ გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენს საქართველოში, განსაკუთრებით კი თურქეთის მოსაზღვრე აჭარის რეგიონში და ასევე გურიის მახლობლად. ზოგიერთი ოჯახისათვის თურქეთში რეგულარულად გამგზავრება და იქ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვა წარმოადგენს მათი წლიური შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს. ბათუმის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს „ბათუმელები ნეტ გაზეთის'' მიერ ინტერნეტში[6] გავრცელებული ვიდეო აღწერს აღნიშნული ტიპის სეზონურ დასაქმებას და მის მნიშვნელობას ქართველი მიგრანტებისთვის.

ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით სკოლის არდადეგების დროს ბავშვები საკუთარ მშობლებთან ერთად მიემგზავრებიან თურქეთში და მათთან ერთად ჩართულნი არიან ყოველდღიურ საქმიანობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შესაძლოა გულისხმობდეს ბავშვთა მუშაობას მკაცრ და შესაძლოა საშიშ პირობებში, ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში. კულტურულ კონტექსტში, ბავშვების მხრიდან საკუთარი მშობლების დახმარება ოჯახის შემოსავლით უზრუნველყოფაში ზოგადად არ აღიქმება პრობლემად, მაშინაც კი თუ მათ სკოლის გაცდენა უწევთ. ბავშვები ხომ ხშირად სახლში ყოფნის დროსაც ეხმარებიან საკუთარ მშობლებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში სკოლაში წასვლამდე, ან სკოლიდან დაბრუნებისას.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს სხვა ქვეყნებისგან, როდესაც საქმე ეხება ბავშვთა ექსპლოატაციას სხვადასხვა ფორმითა და გამოვლინებებით. წინამდებარე კვლევამ მოიპოვა ბავშვთა ექსპლოატაციის მრავალი ფორმის მტკიცებულებები, რომელთაგან ზოგიერთი კარგად დოკუმენტირებულია და წარმოადგენს პოლიციის გასული და მიმდინარე გამოძიებების საგანს. ბავშვთა ჩაბმა პროსტიტუციაში და პორნოგრაფიული სახის მასალების წარმოებაში ფართოდ გახდა სამართალდამცავების მხრიდან კრიმინალური გამოძიების საგანი და აღნიშნული დამოკიდებულება დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა არსებობს ბავშვთა ექსპლოატაციის სხვა ფორმები, კერძოდ

[6] იხილეთ https://batumelebi.netgazeti.ge/news/225419/.

მათხოვრობა და სხვა სახის შრომითი ექსპლოატაცია, რომლებიც კვლავ პრობლემად რჩება და საჭიროებს რეაგირებას, მრავალ-დისციპლინური და კარგად კოორდინირებული ქმედებებით.

<u>რეკომენდაციები</u>

საქართველოს სამთავრობო უწყებების მხრიდან კონკრეტული ქმედებებისათვის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) განიხილავს შემდეგ რეკომენდაციებს, რომლებიც უპასუხებენ ბავშვთა ინტერესების დაცვისა და ტრეფიკინგის ბრძოლის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს:

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბავშვთა ექსპლოატაციის პრობლემის აღიარების კუთხით პროგრესი მიღწეულია, მეტი ძალისხმევაა საჭირო იუსტიციის სამინისტროს, სამართალდამცავ ორგანოების, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შრომითი ინსპექტორს შორის უწყებათაშორისი კოორდინაციის გასაუმჯობესებლად. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმები უნდა განისაზღვროს ფურცელზე, სასურველია ურთიერთგაგების მემორანდუმის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტების სახით.
- შემაშფოთებელია ბათუმში რაიმე სახის დაწესებულების არარსებობა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ზრუნვას და ყურადღებას, მაგალითად, 24/7 თავშესაფარი ან სააღმზრდელო ცენტრი და აღნიშნული საკითხი მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. ფინანსური და ბიუროკრატიული დაბრკოლებები არ უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ყველაზე მეტი საჭიროების მქონე პირებს, განსაკუთრებით ბავშვებს უარი ეთქვათ მნიშვნელოვანი სერვისების ხელმისაწვდომობაზე. ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები უნდა მოიცავდეს მინდობით აღზრდის შესაძლებლობების გაძლიერების ინოვაციურ გზებს, იმ ადგილებში, სადაც ასეთი შესაძლებლობების ნაკლებობაა.
- საგანმანათლებლო უწყებებმა რეკომენდირებულია მოახდინონ უფრო მკაცრი პროცედურების შემუშავება და სკოლაში დანერგვა დასწრების წესების აღსრულების მიზნით.
- უწყებებმა უნდა მოახდინონ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ან ადგილზე სხვა რელევანტური სახელმწიფო უწყების) გაფრთხილება, სახლში ბავშვის(ების) ოჯახური გარემოს შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ქმედებების განხორციელება.
- უცხოელი ბავშვების მხრიდან აგრესიული მათხოვრობის პრობლემაზე რეაგირებისათვის, უნდა მოხდეს უფრო მეტი აქცენტით ბავშვებზე ორიენტირებული მიდგომის შემუშავება. მათ დეპორტაციამდე წინასწარი დაკავების ცენტრში განთავსება არ წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის გამოსავალს. პირიქით, უნდა მოხდეს აღნიშნული ბავშვების განთავსებაა ბავშვებისთვის მეგობრულ გარემოში, სადაც მათი მშობლების ან „მზრუნველების'' პასუხისმგებლობა იქნება გამოკვლეული რათა დადგენილ იქნას ბავშვთა ტრეფიკინგისა თუ ამ ბავშვების მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულების ინდიკატორები. სოციალური მუშაკებისთვის უნდა ჩატარდეს კულტურული ცნობიერების ამაღლების ტრენინგი, რათა მათ უფრო ეფექტურად შეძლონ განსხავებული კულტურული წარმომავლობისა და აღზრდის მქონე ბავშვებისათვის სერვისების შეთავაზება.
- მიზანშეწონილია შრომის ინსპექციის ჩართვა ეკონომიკურ სექტორში ბავშვთა დასაქმების შემთხვევების ინსპექტირებაში, თუ ასეთის შესახებ ცნობილია და ასევე ბავშვთა დასაქმების რისკების გათვალისწინება დასაქმების ადგილების რეგულარული და საჭირო ინსპექტირების კრიტერიუმებში. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდა ბავშვთა შრომის გამოვლენილი შემთხვევების გადასაწყვეტად.
- ამ კუთხით, ასევე მიზანშეწონილია უწყებების მხრიდან მოხდეს ქუჩაში მომუშავე და

მცხოვრები ან სხვა მხრივ ექსპლოატაციაში მყოფი ბავშვების სტატისტიკის შეგროვება, რათა ამ მხრივ ხაზი გაუსვან საქართველოში მომსახურების გაწევის მექანიზმებში არსებული ნაკლოვანებებების სწრაფად აღმოფხვრის საჭიროებას.

დანართი I – სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების სტატისტიკა

	ადამიანთა ვაჭრობა/ ტრეფიკინგი (ზრდასრულები)						ადამიანთა ვაჭრობა/ ტრეფიკინგი (არასრულწლოვნები)											
	სექსუალური ექსპლუატაცია			შრომითი ექსპლუატაცია			სექსუალური ექსპლუატაცია			შრომითი ექსპლუატაცია			ყიდვა/გაყიდვა			ჯამი		
წელი	2017	2018	2019	2017	2018	2019	2017	2018	2019	2017	2018	2019	2017	2018	2019	2017	2018	2019
ტრეფიკინგის გამოძიება	16	12	12	2	2	0	0	0	3	1	5	4	2	2	2	**21**	**21**	**21**
სამართლებრივი დევნა	4	3	0	0	0	0	0	0	23	0	2	3	0	2	1	**4**	**7**	**27**
სასამართლოში გაგზავნილი საქმეები	4	3	0	0	0	0	0	0	2	0	1	2	0	1	1	**4**	**5**	**5**
ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის საქმეებზე შეფარდებული სასჯელი	2	3	1	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	1	0	**2**	**4**	**2**
მსჯავრდებული	2	4	1	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	2	0	**2**	**6**	**3**
მსხვერპლი	3	2	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	**4**	**2**	**0**
ტრეფიკინგის მსხვერპლი	6	4	0	2	0	0	0	0	23	0	2	6	0	1	0	**8**	**7**	**29**